პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов



სურათზე: ნ. ჰეზელდონკი და ა. ჩერეპოვიჩი ფინიშზე.

14
მაისი

შაბათი,
1963 წ.
№ 94 (2199)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 3 კაპ.

მშვიდობის ველორბოლა

მესამე და მეოთხე ეტაპი

★

მშვიდობის ველორბოლის მესამე ეტაპზე ბრნოდან ბრატისლავამდე (109 კილომეტრი) მოეწყო გუნდური რბოლა. აქ გამარჯვებისათვის ძირითადად პოლონეთის, გდრ-სა და საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის გაიმართა ბრძოლა. ფინიშზე გამოჩნდა გერმანელი სპორტსმენების უპირატესობა, მათ თითქმის ერთი წუთით უკეთესი შედეგი აჩვენეს, ვიდრე მეორე ადგილზე გამოსულმა პოლონეთის გუნდმა. საბჭოთა სპორტსმენები ფინიშზე მესამენი იყვნენ.

მეოთხე ეტაპზე ბრატისლავა-ბისტრიცა — ყველაზე კარგად იარა ფრანგმა ველოსიპედისტმა ე. ჟენემ. მან პირველი ადგილი მოიპოვა ამ ეტაპზე და შეჯიბრების ლიდერიც გახდა ოთხი ეტაპის ჯამში. საბჭოთა სპორტსმენებიდან მეოთხე ეტაპზე საუკეთესო იყო ა. ოლიზარენკო. მან მესამე ადგილი დაისაკუთრა. გუნდურ ჩათვლაში ეტაპი მოიგეს რუმინელებმა. ბელგიის გუნდი გამოვიდა მეორე ადგილზე და ოთხი ეტაპის შემდეგ სათავეში ჩაუდგა შეჯიბრებას. ჩვენი ქვეყნის ნაკრები მეოთხე ადგილზეა.

როგორც ცნობილია, მშვიდობის ველორბოლის პირველი ეტაპი — პრაღის ირგვლივ, მოიგო საბჭოთა ველოსიპედისტმა ა. ჩერეპოვიჩმა, მეორე ადგილზე გამოვიდა ბელგიელი ნ. ჰეზელდონკი.

გუნდის გამარჯვებისათვის

ლენინგრადში დამთავრდა ოთხი ქვეყნის უძლიერეს მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრების მეორე ეტაპი წარმოადგენდა გუნდურ ბრძოლას პირველობისათვის.

რაპირისტთა ბრძოლაში ვაჟთა შორის ფავორიტებად ითვლებოდნენ სსრ კავშირისა და პოლონეთის გუნდები. სწორედ მათ შორის შეხვედრაში გადაწყდა პირველი ადგილის ბედი. შეხვედრა თუმცა კი დამთავრდა თანაბარი ანგარიშით — 8:8, მაგრამ ერთი ჩხვლეტის უპირატესობამ პოლონელებს გამარჯვება მოუტანა. მეორე ადგილზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის რაპირისტთა პირველი გუნდი. მესამე ადგილი წილად ხვდათ რუმინელ მოფარიკავეებს.

ესპადრონით ბრძოლაში ჩვენმა სპორტსმენებმა შეძლეს რევანშის აღება პოლონელებზე, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონები არიან ამ იარაღში. აქაც, მართალია, საბჭოთა და პოლონელი მოფარიკავეების შეხვედრა ფრედ — 8:8 დამთავრდა, მაგრამ შემდგომმა დამარცხებამ უნგრელ ესპადრონისტებთან პოლონელები მესამე ადგილზე გადაიყვანა. საბჭოთა სპორტსმენებმა მინიმალური ანგარიშით სძლიეს უნგრელებს და დაისაკუთრეს კიდეც პირველი ადგილი.

დაშნით მოფარიკავეებს შორის უძლიერესი აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც გამოდიოდნენ ბ. ხაბაროვი, ა. ნიკანჩიკოვი, გ. კოსტავა, გ. კრისი და ი. ვიტებსკი. ჩვენი გუნდის გამარჯვებაში განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანეს ა. ნიკანჩიკოვმა და გ. კოსტავამ. პირველმა 11 ორთაბრძოლიდან 8 გამარჯვება მოიპოვა, ხოლო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა რვა შეხვედრიდან 6 დაამთავრა თავისი გამარჯვებით.

მაგრამ გუნდური გამარჯვება ამ იარაღში იოლად არ მოსულა. საკმარისია ითქვას, რომ არც ერთი გუნდი არ დარჩენილა დამარცხების გარეშე. გადამწყვეტ შეხვედრას წარმოადგენდა უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის გუნდების ბრძოლა. ჩვენს სპორტსმენებს პირველი ადგილის გასანაღდებლად აუცილებლად ჰირდებოდათ მოგება ანგარიშით არანაკლებ 9:6. უკანასკნელი ორი წყვილის გამოსვლამდე ანგარიში იყო 7:6. მას შემდეგ, რაც ა. ნიკანჩიკოვმა მოუგო ზ. ნებერეს, პირველობის საკითხი მთლიანად დაექვემდებარა გ. კოსტავასა და უნგრელ გ. კულჩარის ორთაბრძოლის შედეგს. ქართველმა სპორტსმენმა წარმატებით გადაწყვიტა მის წინაშე დასახული ამოცანა, დაამარცხა მეტოქე და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა. მესამე ადგილი დაიკავა პოლონეთის გუნდმა.

ქალთა შორის გამარჯვებული გამოვიდა სსრ კავშირის I გუნდი. მეორე ადგილზეა უნგრეთი, მესამეზე — რუმინეთი.

საერთო გუნდური გამარჯვებაც საბჭოთა მოფარიკავეებს დარჩათ.

4 მედალი საბჭოთა ძიუდოისტებს

ძიუდოისტთა ევროპის პირველობაზე, რომელიც ჟენევაში მიმდინარეობდა, გუნდური შეჯიბრების დამთავრების შემდეგ, დაიწყო პირადი პირველობა. ცალკეულ დანში უკვე გამოვლინდნენ ჩემპიონატის პრიზიორები. მჩატე წონაში წარმატებით დაიწყო ტურნირი რიგელმა ა. ბოგოლიუბოვმა. მან ფინალშიც ძლიერად ჩაატარა შეხვედრები და მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი. შედარებით წარუმატებლად გამოვიდა გასული წლის ევროპის ჩემპიონი ა. ქიბროწაშვილი. მან დაკარგა პირველი ადგილი და ამჯერად ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა.

მჩატე წონის საბჭოთა მოჭიდავეებმა ბ. მიშჩენკომ და რ. ჯლამაძემ სხვადასხვა დანში მოიპოვეს ბრინჯაოს მედლები.

პირველი გამარჯვება

10 მაისს რიო-დე-ჟანეიროში, მარაკა-ნაზინხოს სპორტულ დარბაზში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მსოფლიოს პირველობა ვაჟთა გუნდებს შორის კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობს 13 უძლიერესი კოლექტივი.

მეორე დღეს ყოველ ქვეჯგუფში მონაწილე გუნდები გაემგზავრნენ ბრაზილიის ქალაქებში, სადაც წინასწარი მატჩებია დანიშნული. სსრ კავშირის გუნდი თამაშობს ბელო-ორიზონტში, სადაც მასთან ერთად არიან საფრანგეთის, კანადისა და ურუგვაის გუნდები. როგორც ცნობილია, ყოველ ქვეჯგუფში 1-2 ადგილზე გამოსული გუნდები გავლენ გათამაშების ფინალში.

ჩვენი ქვეყნის ნაკრებს პირველი კალენდარული შეხვედრა ჰქონდა კანადის გუნდთან. მატჩი მოიგეს საბჭოთა კალათბურთელებმა ანგარიშით 58:45.

გუშინ, გვიან ღამით, სსრ კავშირის ნაკრებმა ითამაშა საფრანგეთის კალათბურთელებთან.

თანაკლუბელთა ტურნირი

„ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა კალათბურთში დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის გუნდების გამარჯვებით. ექვსი საპრიზო ადგილიდან ჩვენმა კალათბურთელებმა 3 მოიპოვეს: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა და ვაჟთა გუნდები „ბურევესტნიკის" საკავშირო საბჭოს ჩემპიონები გახდნენ, ხოლო უნივერსიტეტის ქალთა გუნდი ვიცე-ჩემპიონი.

როგორ წარიმართა ჩვენი რესპუბლიკის გუნდების უკანასკნელი შეხვედრები? საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდმა უკანასკნელისწინა შეხვედრაში მოსკოველებთან გაიმარჯვა ანგარიშით 56:46, მაგრამ ალმაატელ კალათბურთელებთან შეხვედრაში მოულოდნელ წინააღმდეგობას წააწყდა. დაძაბულ და საინტერესო ბრძოლაში თბილისელებმა ძნელ გამარჯვებას მიაღწიეს — 52:46. სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა გუნდმა მოულოდნელად წააგო ბაქოსთან — 36:39 და ბოლო შეხვედრა ვორონეჟთან აუცილებლად უნდა მოეგო, რომ მეორე ადგილზე გამოსულიყო. ჩვენმა კალათბურთელებმა წარმატებით გადაჭრეს ეს ამოცანა, მოიგეს შეხვედრა — 51:46 და მასთან მეორე ადგილიც. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა გუნდმა მოუგო ერევნელებს — 62:57 და ბოლო შეხვედრაში ფრუნზელ კალათბურთელებს ეთამაშებოდა. გამარჯვების შემთხვევაში ფრუნზელი კალათბურთელები ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები ხდებოდნენ. მათ ვერ მიაღწიეს საწადელს, მატჩი წააგეს 38:49.

ტურნირში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ქალები—საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, თბილისის უნივერსიტეტი, მოსკოვი. ვაჟები—საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ფრუნზე, ალმა-ატა.

მეშვიდე მატჩზე

საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციებმა დააკომპლექტეს თავიანთი ქვეყნის ნაკრები გუნდები, რომლებიც ერთმანეთს უნდა შეხვდნენ მორიგ ამხანაგურ მატჩში. თვითეულ გუნდში 6 ვაჟი, 3 ქალი და 3 ახალგაზრდა მოჭადრაკე. საბჭოთა გუნდში შევიდნენ ვ. კორჩნოი, ი. ავერბახი, ლ. შტეინი, ე. ვასიუკოვი, ვ. სიმაგინი და ოსტატი ნ. ბანიკი. სათადარიგონი არიან ვ. მიკენასი და ა. სუეტინი. ქალთა დაფებზე ითამაშებენ მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, აგრეთვე ა. კუშნირი და კ. ზვორიკინა.

იუგოსლაველთა მხრიდან საბჭოთა ნაკრების წინააღმდეგ გამოვლენ გროსმაისტერები ს. გლიგორიჩი, ა. მატანოვიჩი, ბ. ივკოვი, ი. ტრიფუნოვიჩი, ე. უდოვჩიჩი და საერთაშორისო ოსტატი ბ. პარმა. სათადარიგონია დამიანოვიჩი და მინიჩი. იუგოსლავიის ქალთა გუნდის ინტერესებს დაიცავენ ვ. ნედელკოვიჩი, მ. ლაზარევიჩი და კ. იოვანოვიჩი.

მეშვიდე ამხანაგური მატჩი გაიმართება 1-დან 10 ივნისამდე საკურორტო ქალაქ რიეკში, რომელიც ადრიატიკის ზღვის პირას მდებარეობს.

ხელბურთის საკავშირო ფედერაციაში

ხელბურთის საკავშირო ფედერაციის წინადადებით საკავშირო სპორტკავშირმა ცვლილებები შეიტანა ხელბურთის სპორტულ კლასიფიკაციაში. ამჟამად რომ შეასრულო ხელბურთში (7:7) სპორტის ოსტატის ნორმატივი, აუცილებელია:

1. მონაწილეობა მიიღო გუნდში, რომელიც 1-3 ადგილს დაიკავებს საკავშირო პირველობაზე. 2. იყო ხელბურთის საკავშირო ფედერაციის მიერ დამტკიცებულ უძლიერეს ხელბურთელთა სიაში. 3. მონაწილეობდე გუნდის შემადგენლობაში, რომელიც წლის განმავლობაში მოიპოვებს 4 ოფიციალურ გამარჯვებას (არანაკლებ საქალაქო მასშტაბისა, რომელსაც ამტკიცებს საკავშირო ფედერაცია) სხვადასხვა გუნდებთან, რომლებშიც გამოდიოდნენ ორიმესამედი სპორტის ოსტატი, ან დაამარცხო გუნდები, რომლებიც 1963 წლის პირველობაზე დაიკავებენ 1-6 ადგილს, 1964 წელს — 1-8 ადგილს, იმ პირობით, თუ ამ კოლექტივებში თამაშობს განაცხადში შეტანილი მოთამაშეთა ორიმესამედი. 4. ორი ფრე ნიშნავს ერთ გამარჯვებას.

ხელბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა 21 უძლიერესი ხელბურთელის სია, რომელშიც შევიდნენ მოსკოვის, ოდესის, კაუნასის, კიევის, რიგისა და სხვა ქალაქების სპორტსმენები. ჩვენი რესპუბლიკიდან უძლიერესთა სიაში არიან ჯ. აბაიშვილი, ჯ. ცერცვაძე, თ. ანთაძე, ი. ფხაკაძე, ლ. კარტოზია.

კვირას, „მეგობრობის თასის“ გათამაშების მონაწილე ველომრბოლელები თბილისს ეწვივნენ. სურათებზე ასახულია ამ საინტერესო შეჯიბრების



ფინიში,



სტარტი

ველორბოლა გრძელდება

ამინდი ხელს არ უწყობს ამიერკავკასიის მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილეებს. VI ეტაპს — თბილისი-იჯევანი სტარტი კოკისპირული წვიმის ქვეშ მიეცა. მთელი ეტაპის მანძილზე მოლიპული გზა, ხოლო დასკვნით მონაკვეთზე კვლავ წვიმა მნიშვნელოვნად უძნელებდა სპორტსმენებს რბოლას.

დაახლოებით 30-ე კილომეტრზე წინ გადის სომხეთის წარმომადგენელი ს. ყარაგეზიანი. მის დაწევას ცდილობენ აზერბაიჯანელები ვ. სემერგეი და ა. აგაევი და აგრეთვე ს. ლოშკო (საქართველო). იჯევანის მისადგომებთან ამ სამეულს და ლიდერს წამოეწია სპორტსმენთა ჯგუფი, მაგრამ მხოლოდ ა. მოროზოვმა გადაასწრო ყველას და გამარჯვებული გამოვიდა ამ ეტაპზე. მან 125 კილომეტრი დაფარა 3:17.28-ში. მეორე იყო ს. ყარაგეზიანი, რომელიც გამარჯვებულს 42 წამით ჩამორჩა, ხოლო კიდევ 20 წამის შემდეგ ფინიშის ხაზი გადაკვეთა ე. მელკოვმა (აზერბაიჯანი).

გუნდურ ჩათვლაში ლიდერობას ინარჩუნებს აზერბაიჯანის გუნდი, რომელიც საქართველოს გუნდს ამ ეტაპზე 3 წუთს უგებს, ხოლო მთლიანად დაახლოებით 10 წუთს.

ცვლილება არ მომხდარა არც პირად ჩათვლაში. ლიდერის მაისურს ინარჩუნებს ველორბოლის შარშანდელი გამარჯვებული, თბილისელი ე. ბირიუკოვი.

გუშინ ველორბოლის მონაწილენი ყველაზე რთულ ეტაპს — იჯევანი-ლენინაკანი — გაივლიდნენ, სადაც 42 კილომეტრის გაჭიანურებული აღმართის დაძლევა მოუხდებოდათ.

ზონალურ სპარტაკიადაზე

რუსთავში მიმდინარეობს საქართველოს პროფტექგანათლების სკოლების მოსწავლეთა მე-16 რესპუბლიკური სპარტაკიადის ზონალური ტურნირი. გამარჯვებისათვის იბრძვიან ბორჯომის, სურამის, ენისელის, კაჭრეთის, რუსთავის კოლექტივები, სულ 7 გუნდი. პროგრამაშია სპორტის 11 სახეობა.

სპარტაკიადა გახსნეს კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა. ამავე დღეს ბრძოლაში ჩაებნენ კალათბურთელები, ფრენბურთელები, მაგიდის ჩოგბურთელები, ტანმოვარჯიშეები და მძლეოსნები.

უკვე დამთავრდა შეხვედრები კლასიკურ ჭიდაობაში. პირველი ადგილი მოიპოვა სურამის 1-ლი სასწავლებლის კოლექტივმა. რუსთავის მე-16 სასწავლებელი გამოვიდა მეორე ადგილზე, მოკრივეთა ტურნირში გაიმარჯვეს რუსთავის მე-3 სასწავლებლის სპორტსმენებმა.

ველორბოლაში 20 კილომეტრზე პირველი იყო გ. ჭანტურიძე (რუსთავის მე-16 სასწ.), რომელმაც დისტანცია დაფარა 31 წუთსა და 33 წამში. შეჯამდა ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრების შედეგები: უძლიერესნი აღმოჩნდნენ რუსთავის მე-3 და სურამის 1-ლი სასწავლებლები, რომლებმაც მოიპოვეს პირველი და მეორე ადგილები.

ფრენბურთელთა ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მასპინძლები — რუსთავის მე-3 და მე-16 სასწავლებლის გუნდები. გადამწყვეტ პარტიაში უპირატესობა მე-3 სასწავლებლის სპორტსმენთა მხარეს იყო და გამარჯვებაც მათ დარჩათ. სურამელი სპორტსმენების გამარჯვებით აღინიშნა შეჯიბრება მძლეოსნობაში. რაც შეეხება მაგიდის ჩოგბურთს, აქ ქულათა თანაბარი რაოდენობა — 9-9 დააგროვეს სურამისა და რუსთავის მე-3 სასწავლებლის გუნდებმა, მაგრამ ერთმანეთს შორის ჩატარებული პარტიების უკეთესმა მდგომარეობამ პირველობა სურამელებს მიაკუთვნა.

უკვე დამთავრებული სახეობების მიხედვით საერთო პირველ ადგილზე არიან რუსთავის მე-3 სასწავლებლის სპორტსმენები, მათ ფეხდაფეხ მიჰყვებიან სურამელები.

ს. მებრელიშვილი,
მთავარი მსაჯი

საექიმო კონტროლი წვრთნის განუყოფელი ნაწილია

საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადისათვის მზადება რამდენიმე ეტაპად იყო დაყოფილი. ყველამ ასე თუ ისე, დაძაბულ წვრთნაში ჩაიარა და ახლა დარჩა მეტად საპასუხისმგებლო პერიოდი. წინაა გენერალური რეპეტიცია — საქართველოს III სპარტაკიადა. შემდეგ კი დაიწყება საბოლოოდ ჩამოყალიბებული გუნდების ერთობლივი წვრთნა...

ამ დიდი მოსამზადებელი პერიოდისათვის სხვადასხვა ფაქტორი სხვადასხვა დროს იყო მთავარი. გუნდებს ხან აქტიური დასვენება სჭირდებოდა, ხან ძლიერ მოწინააღმდეგესთან შეხვედრა, ხან ფიზიკურად მომზადებაზე ზრუნვა და ა. შ. მაგრამ ერთი მთავარი ფაქტორი — საექიმო კონტროლი, მზადების ყველა ეტაპზე თანაბრად სჭირდებოდათ.

ჩვენი სპორტული წარმატებები საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე მწვრთნელების უნარიანი, შორსმჭვრეტელი, შემოქმედებითი მუშაობის შედეგია; ბევრი მათგანი სწრაფად ითვისებს თანამედროვე წვრთნაში დანერგილ სიახლეებს, ეუფლებიან წვრთნის თეორიას და, რაც მთავარია, მჭიდრო ურთიერთობა აქვთ სამედიცინო პერსონალთან, დაწვრილებით ეცნობიან თავიანთი აღსაზრდელის ფიზიკურ მონაცემებს, მისი ზრდის პირობებს, ორგანიზმში წვრთნის უარყოფით და დადებით გავლენას, დროულად ყურადიღებენ ექიმის ჩარევას და სხვ. ეს არის საქმისადმი შეგნებული მიდგომა, ასეთი მუშაობით იზრდებიან ჩემპიონები და რეკორდსმენები და არა მარტო იზრდებიან, არამედ დიდხანსაც რჩებიან სარბიელზე.

საექიმო კონტროლის კეთილისმყოფელი გავლენა სპორტზე კარგად გაითვალისწინა რესპუბლიკის სპორტკავშირმა და ყოველ გუნდს, რომელიც სპარტაკიადისათვის ემზადება, მიამაგრა ექიმი და ამ მნიშვნელოვან საქმეზე მეთვალყურეობა სპორტული მედიცინის ფედერაციას დაავალა. ჩვენ იმას არ ვამბობთ, რომ გუნდებზე მიმაგრებული ყველა ექიმი საქმეს წარმატებით ართმევდეს თავს, ნაკლი რასაკვირველია, არის და ფედერაცია ცდილობს მათ აღმოფხვრას. ამ დღეებში რედაქციის რეიდმა მწვრთნელებისა და სპორტსმენების მხრიდან ამ საქმეში იმდენი დარღვევა აღმოაჩინა, რომ სასწრაფოდ მოითხოვს დაუყოვნებლივ რეაგირებას.

ყველასათვის ცხადია, რომ ექიმის მეთვალყურეობის გარეშე წვრთნას, სპორტსმენთა ორგანიზმის შეუმოწმებლად დატვირთვათა გაზრდას სულ ხშირად მწყობრიდან გამოყავს სპორტსმენი. ეს კარგად იციან მოცურავეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელებმა, მაგრამ ჯიუტად გაურბიან საექიმო შემოწმებას. მწვრთნელები საფრონოვი, იოაკიმიდი და მუსასტიკოვი არ ზრუნავენ თავიანთი აღსაზრდელების ჯანმრთელობაზე, არც ერთი მათგანი ჯერ არ გამოცხადებულა საექიმო ფიზკულტურის დისპანსერში. ქუთაისელმა მოჭიდავეებმა ესებუამ და შეყრილაძემ მათ ჯანმრთელობაზე მზრუნველ ექიმებს შეურაცყოფაც კი მიაყენეს. საექიმო კონტროლის შეუფასებლობას იჩენენ ტყვიით მსროლელები. ყურს არ უგდებენ ექიმთა რჩევა-დარიგებას და ამიტომ, მათი ფიზიკური მომზადება მეტად დაბალია. არის შემთხვევები, როდესაც სპორტსმენი გარკვეული დროის მანძილზე ისვენებს, შემდეგ გაცდენილი დღეების შესავსებად წვრთნას იწყებს მაქსიმალური დატვირთვით, იღლება, ტრავმას იღებს და წლობით ნამზადებ გუნდს მნიშვნელოვანი ძალა აკლდება.

მწვრთნელს, რომელსაც შეგნებული აქვს სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდის სერიოზულობა და თავისი აღსაზრდელის ზრდა-განვითარებაზე გული შეტკივა, ერთი წუთითაც არ მოიშორებს გვერდიდან ექიმს. ველოსიპედისტ სიკორსკის (რომელიც ავად იყო, მაგრამ არ აცხადებდა) წვრთნა რომ გაეგრძელებინა სამუდამოდ გამოვიდოდა მწყობრიდან. მაგრამ მწვრთნელისა და ექიმის ფხიზელმა თვალმა იგი გადაარჩინა ველოსიპედისტთა რიგებიდან სამუდამოდ გამოთიშვას. „დინამოს“ კალათბურთელთა და წყალბურთელთა გუნდების ზოგიერთი წევრი გაძლიერებული ვარჯიშისა და შეჯიბრების გამო გადაიღალნენ და რომ მწვრთნელებსა და ექიმებს დროულად არ შეემჩნიათ, შეიძლება სპარტაკიადაზე რამდენიმე წამყვანი სპორტსმენის გარეშე წარვმდგარიყავით. მჭიდრო კონტაქტში არიან სამედიცინო პერსონალთან მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების მწვრთნელები მ. თიკანაძე, შ. ნოზაძე, ვ. ილურიძე. ექიმის რჩევა-დარიგების გათვალისწინების შედეგად გადაწვრთნის ყველა შემთხვევა აღმოფხვრეს. ზოგიერთი მწვრთნელი ძალიან მტკივნეულად განიცდის თავისი სპორტსმენის ტრავმას, არ უჯერებს ექიმს და აიძულებს სპორტსმენს კიდევ გამოვიდეს შეჯიბრებაზე. მძლეოსანი ა. ოვივიანი ტრავმირებულ იქნა ერთ-ერთ შეჯიბრებაზე. ვერ მოასწრო განკურნება, რომ მეორე შეჯიბრებაზე მიიღო მონაწილეობა და... ახლა ალბათ, ერთი თვით მაინც გამოეთიშება ყველაფერს. სჯობს იმწამსვე მოხდეს ტრავმის ფიქსირება, მისი მკურნალობის დაწყება. შეყოვნება ან შეუფასებლობა მის გაღრმავებას გამოიწვევს, გაღრმავება კი სპორტსმენის დროებით ან კიდევ სამუდამოდ მწყობრიდან გამოსვლას.

ახლა, როდესაც რესპუბლიკის ყველა სპორტსმენი განსაკუთრებულ აღრიცხვაზეა, როცა ყველა და ყველაფერი მხოლოდ იქითკენაა მიმართული, რომ თვითეულმა მათგანმა სპარტაკიადაზე გამოავლინოს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი, ასეთი დამოკიდებულება მიუტევებელია, ამიტომ სპორტული მედიცინის ფედერაციამ და საერთოდ, ყველა სახეობათა ფედერაციებმა გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღონ.

ვ. ტატარინოვა—ბათუმის ჩემპიონი

ბათუმის საჭადრაკო კლუბში ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა ქალაქის პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის. შესანიშნავად ჩაატარა პირველობა აჭარის გასული წლის ჩემპიონმა ვ. ტატარინოვამ, რომელმაც 9 ქულა მოაგროვა. მას არც ერთი პარტია არ წაუგია. მეორე ადგილი დარჩა ბათუმის გასული წლის ჩემპიონს დ. შავთვალიშვილს. მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს კ. იალოვაიამ — საერთაშორისო ოსტატ ა. ჩაიკოვსკაიას დედამ და ვ. დუბინინამ — 7,5 ქულა თვითეულს.

ბათუმის სპორტკავშირმა ტურნირში გამარჯვებულებთან ერთად სიგელით დააჯილდოვა ტურნირის უხუცესი მონაწილენი 83 წლის ტ. სკვორცოვა და 70 წლის ზ. მიაგი.

გ. ჟანტურია,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ყველა ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს სპორტსმენთა წვრთნას და საბოლოო ჯამში ჩვენი დელეგაციის წარმატებით გამოსვლას III სპარტაკიადაზე, განუხრელად უნდა გატარდეს!

შეტევის პრობლემა გადაუჭრელია

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 13 მაისი.

„დინამო“ (თბილისი)-„კაირატი“ (ალმა-ატა) — 3:1 (0:0).

„კაირატი“: ლისიცინი, სტულოვი, სტეპანოვი, კამინსკი, ოსტროუშკო, ფედოტოვი, კვოჩკინი, სკულკინი, ესინბეგოვი (კუზნეცოვი), ა. ჩენცოვი, (მალცევი).

„დინამო“: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, კალოევი, გ. სიჭინავა, დათუნაშვილი.

მსაჯი ა. მენშიკოვი (მოსკოვი).

★

მას შემდეგ, რაც თანამედროვე ფეხბურთში ფეხი მოიკიდა ახალმა ტაქტიკურმა სისტემებმა, გოლის გატანა რთულ პრობლემად იქცა. დაცვას მიეცა აშკარა პრიორიტეტი, რომლის ძირითად რიგებს მიემატა ერთი მოთამაშე თავდასხმის „შტატიდან“. მცველებს ახლა უდავო უპირატესობა აქვთ მოპოვებული ამ დამატებითი ერთეულის ხარჯზე და ფორვარდებს ძალზე უჭირთ ახალი გზების ძიება კარის ასაღებად. გადახედეთ თუნდაც მიმდინარე ჩემპიონატის ცხრილს, სადაც ყველაზე უფრო ჰარბობს ციფრი „0“. ერთ ბურთს, როგორც წესი, მოაქვს ორი ქულა. გოლი გაძვირდა.

თბილისის „დინამოში“ უწინ ყველა ხედავდა შემტევ გუნდს. მის სულსა და გულს, მის სპეციფიკას თავდასხმა წარმოადგენდა. თბილისელთა ფორვარდები ყოველთვის ბრწყინვალედ თამაშობდნენ და ნამდვილ მოიერიშე ფეხბურთს ქმნიდნენ, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთში მომხდარმა დიდმა ძვრებმა, სადღეისო მოთხოვნებმა ჩვენი გუნდის დაცვის რეორგანიზაცია მოითხოვა და ამის შესაბამისად თბილისელთა თამაშის ტაქტიკური სახეც შეიცვალა. ჩვენს განთქმულ თავდასხმაში დარჩა 4 მოთამაშე, სადაც ინსაიდი, როგორც წესი, საერთოდ გაქრა.

მაგრამ ოთხი მოთამაშეც არის და ოთხიც. დინამოელთა წინა ხაზზე თამაშობენ უმაღლესი კლასის ისეთი ოსტატები, რომლებმაც ახალი, პროგრესული ტაქტიკის შესაბამისად კი არ უნდა გაალარიბონ ეს ტრადიციულად უძლიერესი ხაზი, არამედ ახალი ტაქტიკის ღირსებათა საუკეთესო ნიმუშად აქციონ იგი.

ასე უნდა იყოს, მაგრამ ასე არაა და ნათქვამის საილუსტრაციოდ გამოდგება თუნდაც გუშინდელი მატჩი.

„კაირატი“ და მისი ტაქტიკა უკვე კარგადაა ცნობილი „ა“ კლასში. ამ გუნდს არ გააჩნია იმ კატეგორიის ფეხბურთელები, რომლებიც დიდ ფეხბურთს ქმნიან, მაგრამ მას აქვს „ბეტონი“, რომლის გარღვევა მეტად ძნელია, ხოლო შეტევაში დარჩენილი კვოჩკინი, ა. ჩენცოვი და მალცევი უბრალო, სწრაფი გადაცემებით საკმაო ხიფათს ქმნიან მოწინააღმდეგის კართან. აი ამ გუნდთან თბილისელებმა ითამაშეს ტაქტიკურად ძალზე ერთფეროვნად, პრიმიტიულად, ტრაფარეტულად.

სამაგალითოდ ავიღოთ პირველი ტაიმი. იგი დამთავრდა ისე, რომ თავდამსხმელებს არც ერთი სახიფათო მომენტი არ შეუქმნიათ, არც ერთხელ არ დაურტყიათ კარში. თუ ლისიცინს რამდენჯერმე მოუხდა მცირეოდენი შიშის გადატანა, ეს იყო იამანიძის, ზეინკლიშვილისა და ბ. სიჭინავას დარტყმები. თვით სტოპერებიც კი ჩოხელი და ხურცილავა იძულებული იყვნენ წასულიყვნენ სისტემის პრინციპების წინააღმდეგ, დაეტოვებინათ ზონა, რათა ორიოდე დარტყმა მიეშველებინათ ფორვარდებისათვის, ვინაიდან ეს უკანასკნელნი ძირითადად ერთი მარშრუტით მოძრაობდნენ მინდვრის სიგანეზე და „კაირატის“ კარი რატომღაც მეორეხარისხოვან ობიექტად მიაჩნდათ.

კვლავ და კვლავ გვიხდება დავუბრუნდეთ მეტრეველთან საერთო ურთიერთმოქმედების საკითხს. საკმარისია სრულიად უმნიშვნელო, მეორეხარისხოვანი გადაცემაც და მეტრეველი ნამდვილ სათამაშო ეპიზოდს ქმნის მისგან, მაგრამ ეს უმნიშვნელო გადაცემებიც დეფიციტად იქცა ჩვენი მარჯვენა გარემარბისათვის.

მხოლოდ მეორე ტაიმში მიიღო მეტრეველმა თამაშში სრული ძალით ჩაბმის საშუალება (ეტყობა შესვენების დროს მისმა პარტნიორებმა საკმაოდ მკაცრი მითითება მიიღეს მწვრთნელისაგან ამის თაობაზე) და ეს შესაბამისად დაეტყო კიდეც თავდასხმას, რომელიც ბოლოსდაბოლოს, იქცა სახიფათო ძალად „კაირატისათვის“. ბოლო 20 წუთის განმავლობაში სტუმრების კართან ზედიზედ შეიქმნა რამდენიმე რეალური მომენტი. ფორვარდებმა მოძებნეს სწორი თამაშის გზა და, რაც მთავარია, კარგად გამოიყენეს მოწინააღმდეგე დაცვისა და მეკარის შეცდომები.

მე-14 წუთზე ალმა-ატელები ძლიერი შტურმის წინაშე აღმოჩნდნენ და კარის წინ შექმნილ დიდ შეჯგუფებაში ბარქაიამ შეძლო ბურთის კარში გაგზავნა — 1:0.

ეს გოლი „კაირატმა“ გაქვითა მაშინ, როცა მატჩის დამთავრებამდე ბევრი დრო აღარ იყო დარჩენილი— 31-ე წუთზე. დინამოელთა დაცვამ არასწორად გაითამაშა ბურთი, დაკარგა იგი და სტულოვმა შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა კარში. კოტრიკაძის რეაქცია მოგვიანებული აღმოჩნდა — 1:1.

სწორედ ამ დარჩენილ მცირე დროში ითამაშეს დინამოელებმა ისე, რომ შეძლეს ხელიდან გაშვებული გამარჯვების კვლავ შემობრუნება. კალოევმა ჯერ დათუნაშვილის, ხოლო შემდეგ მეტრეველის გადაცემიდან ორჯერ გამოიყენა ლისიცინის შეცდომები და ორჯერ აიძულა იგი გამოეტანა ბურთი ბადიდან. გამარჯვება მოპოვებულ იქნა ძალზე მძიმე ბრძოლაში — 3:1.

ბ. ქორქია

• • •

დინამოელებმა გამარჯვება მოიპოვეს დუბლიორთა შეხვედრაშიც— 2:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 მაისისათვის

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„დინამო“ მოსკოვი	9	5	4	0	11—1	14
„ნეფტიანიკი“ ბაქო	9	6	1	2	10—6	13
„სპარტაკი“ მოსკოვი	9	5	2	2	18—10	12
სკა როსტოვი	9	4	3	2	13—6	11
ცსკა	8	3	5	0	7—2	11
„დინამო“ კიევი	9	4	3	2	12—8	11
„დინამო“ თბილისი	9	4	3	2	11—7	11
„დინამო“ მინსკი	9	3	5	1	12—10	11
„ლოკომოტივი“ მოსკოვი	8	2	6	0	7—4	10
„ტორპედო“ ქუთაისი	9	2	5	2	7—7	9
„შახტიორი“ დონეცკი	9	3	3	3	5—6	9
„კაირატი“ ალმა-ატა	9	4	1	4	9—11	9
„კრ. სოვეტოვი“ კუიბიშევი	9	3	2	4	10—8	8
„ავანგარდი“ ხარკოვი	9	3	2	4	7—9	8
„ზენიტი“ ლენინგრადი	8	3	2	3	13—15	8
„ტორპედო“ მოსკოვი	9	3	1	5	9—15	7
„მოლდოვა“ კიშინიოვი	8	0	5	3	3—9	5
„არარატი“ ერევანი	9	1	2	6	8—16	4
„პახტაკორი“ ტაშკენტი	9	1	1	7	6—15	3
„დინამო“ ლენინგრადი	9	0	2	7	3—16	2

• • •

„ტორპედო“ (მოსკოვი)-„დინამო“ (მოსკოვი) — 0:3

„დინამო“ (მინსკი)-„არარატი“ (ერევანი) — 3:1

„დინამო“ (ლენინგრადი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი) — 0:2

„დინამო“ (კიევი)-სკა (როსტოვი) — 2:0

„ავანგარდი“ (ხარკოვი)-„პახტაკორი“ (ტაშკენტი) — 2:1

„შახტიორი“ (დონეცკი)-„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — 1:0

12 მაისს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდებს შორის.

ტალინში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ზონის ერთ-ერთი ლიდერი — რუსთავის „მეტალურგი“. მატჩი დამთავრდა ტალინელთა გამარჯვებით — 1:0.

• • •

სოხუმის დინამოელებს მატჩი ჰქონდათ კლაიპედაში ადგილობრივ „გრანიტასთან“. თამაშის შედეგია 1:1.

„ზვეინიეკსმა“ (ლიეპაია) თავის მინდორზე მიიღო ბათუმის „დინამო“. 90 წუთის განმავლობაში ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

მატჩი ბაქოში

ბაქო. 13 მაისი. აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ნეფტიანიკი“ და ქუთაისის „ტორპედო“.

თამაში უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ანგარიში მე-19 წუთზე გახსნა ქუთაისელთა თავდამსხმელმა ლექავამ, მაგრამ „ნეფტიანიკის“ მთავარმა „ბომბარდირმა“ მარქაროვმა მალე გაქვითა გოლი — 1:1, ხოლო ტაიმის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე ბაქოელმა ტროფიმოვმა შორი მანძილიდან გაიტანა მეორე ბურთიც — 2:1.

მეორე ტაიმში ბრძოლა კიდევ უფრო მწვავე ფორმებში მიმდინარეობდა, მაგრამ ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა. გაიმარჯვა „ნეფტიანიკმა“.

შედგა 6 პარტია

საქართველოს უძლიერეს მოჭადრაკეთა ტურნირის VI ტურში ტოლუშის ავადმყოფობის გამო არ შედგა მისი პარტია გურგენიძესთან.

პირველი გამარჯვება მოიპოვა არნშტეინმა, რომელიც კიკიანს ეთამაშებოდა. ჯინჯიხაშვილი აჰყვა შამკოვიჩის სიცილიური დაცვის იუგოსლავურ ვარიანტს, რომლის საუცხოო მცოდნედ ითვლება მოსკოველი, მცდარი კომბინაცია გაითამაშა და დამარცხდა.

ჩინებულად ითამაშა ჩიქოვანმა ლომაიასთან. შუა თამაშში მან ხარისხი მოიგო, რაც საკმარისი გახდა გამარჯვების მისაღწევად.

ყაიმით დამთავრდა ჰალილბეილ-ბუსლაევისა და კალატოზიშვილი-ხოლმოვის პარტია.

ორი პარტია გადაიდო. ყაიმია მოსალოდნელი თხელიძე-ბერაძის პარტიაში, ხოლო შიშოვ-ბლაგიძის პარტიაში გაურკვეველი პოზიციაა.

მეშვიდე ტურში გროსმაისტერი რ. ხოლმოვი შეხვდა საქართველოს ჩემპიონს ბ. გურგენიძეს. პარტია ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგი აღინიშნა ს. ჰალილბეილ-ჯ. ბერაძის, ა. ბლაგიძე-გ. კალატოზიშვილის პარტიებში. ლ. შამკოვიჩმა მოუგო მ. შიშოვს, რ. ჯინჯიხაშვილმა— გ. არნშტეინს, ი. ჩიქოვანმა — თ. კიკიანს, ა. ბუსლაევმა — თ. ლომაიას. ა. ტოლუშ-მ. თხელიძის პარტია გადაიდო.

7 ტურის შემდეგ ლიდერობს ლ. შამკოვიჩი, რომელსაც 6 ქულა აქვს.

ორი ტურნირი

გასულ კვირას მოსკოვ-თბილისის მოჭადრაკე ქალთა მატჩ-ტურნირში გაიმართა მხოლოდ კუშნირ-გაფრინდაშვილის გადადებული პარტიის დამთავრება. მოსკოველმა შეძლო უპირატესობის რეალიზება და გამარჯვება.

ამრიგად, ქალთა ტურნირში არავინ არ დარჩა დაუმარცხებელი. ყველას თითო წაგება მაინც აქვს.

გოგონების შეჯიბრებაში წაუგებლად იბრძვის მხოლოდ ტ. პოპოვა.

დაუმარცხებელი არავინ დარჩა

გუშინ მოჭადრაკე ქალები მეხუთედ შეხვდნენ ერთმანეთს.

მეხუთე ტურში გაფრინდაშვილმა მოუგო ო. რუბცოვას, ა. ჩაიკოვსკაიამ — ა. კუშნირს, ლ. ბუცხრიკიძემ — ლ. პოსტნიკოვას, ც. კახაბრიშვილმა — მ. ბრონიკოვას, ნ. ალექსანდრიამ — ტ. პოპოვას. ყაიმით დამთავრდა ე. კაკაბაძე-ო. იგნატიევას, ნ. ჩიქობავა-ე. რუბცოვას პარტიები. მეხუთე ტურის შედეგია 6:1 თბილისელ მოჭადრაკეთა სასარგებლოდ. საერთო ანგარიშია 21,5:18,5 თბილისელთა სასარგებლოდ. დასამთავრებელი დარჩა ხუთი პარტია.

• • •

სურათზე: მოსკოველ და თბილისელ ქალთა ტურნირის მონაწილენი საჭადრაკო დაფებთან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

მ. ბოტვინიკი — ტ. პეტროსიანი

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). 11 მაისს ესტრადის თეატრი კვლავ აივსო გულშემატკივრებით, რომლებიც მოვიდნენ ბოტვინიკ-პეტროსიანის მატჩის XIX პარტიაზე.

ბრძოლა დაიწყო ახალინდური დაცვით, ეს დებიუტი ადრეც გათამაშებულა მატჩში, მაგრამ ამჯერად პეტროსიანმა არჩია თეორიაში კარგად ცნობილი ვარიანტი. ნაცნობ გზას პირველად გვერდი აუხვია ბოტვინიკმა, რომელმაც საეჭვო გაგრძელებას მიმართა (მე-14 სვლა). პეტროსიანმა ბუნებრივი სვლებით უვნებელყო შავების აქტიობა მეფის ფრთაზე და დაეუფლა ინიციატივას. პარტია გადაიდო...

13 მაისს თამაშის განახლებისას პეტროსიანმა უარი თქვა პაიკის მოგებაზე. მან შექმნა გამსვლელი პაიკი და დაიწყო ზრუნვა მის წინსვლაზე. პეტროსიანის დაწოლა იმდენად ძლიერი იყო, რომ ბოტვინიკმა ეტლები გაცვალა. თეთრებმა მხედრებიც „გააქრეს“ დაფიდან. ამის შემდეგ მოგება მარტივი ტექნიკის საქმე იყო. 66-ე სვლაზე ბოტვინიკს მეხუთე პარტიის დათმობამ მოუწია.

უკანასკნელ საათს!

როგორც ცნობილი გახდა, მსოფლიო პირველობაზე ბოტვინიკ-პეტროსიანის მატჩის XX პარტია არ შედგა პეტროსიანის ავადმყოფობის გამო.

უხეში ფეხბურთელები უნდა დაისაჯონ

მადრიდის კლუბის „ატლეტიკოს" ფეხბურთელთა უხეშ თამაშს აღშფოთებაში მოჰყავს მთელი ევროპა. ცნობილმა დასავლეთგერმანელმა მწვრთნელმა ჰ. ვიდმაიერმა, რომელიც „ფკ ნიურნბერგს" წვრთნის, განაცხადა: „თუ მადრიდელებმა ასე განაგრძეს თამაში, ჩვენ უარს ვიტყვით მონაწილეობა მივიღოთ ევროპის თასზე. უხეში მოთამაშეები უნდა დაისაჯონ!".

◆

იაპონელი მოცურავეები გაცხოველებით ემზადებიან ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისათვის. სურათზე თქვენ ხედავთ ამ ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენებს (მარცხნიდან მეორეა ტაკაზე, იაპონელთა იმედი 1.500 მეტრზე) მორიგი წვრთნის დამთავრების შემდეგ.

◆



ოლიმპიური თამაშების „მამა"

ა. წ. 1 იანვარს შესრულდა 100 წელი თანამედროვე ოლიმპიური თამაშების დამაარსებლის, პიერ კუბერტენის დაბადებიდან. პ. კუბერტენი იყო თავისი დროის გამოჩენილი ფრანგი პედაგოგი, რომელიც ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სპორტს. მრავალი წლის მანძილზე პ. კუბერტენი იყო საფრანგეთის სპორტულ ასოციაციათა გენერალური მდივანი.

პ. კუბერტენი დიდ ხანს ოცნებობდა ჩაეყარა საფუძველი საერთაშორისო მასშტაბის გრანდიოზული შეჯიბრებისათვის და სწორედ იმ ხანებს დაემთხვა არქეოლოგიური გათხრები ოლიმპოში, სადაც მკვლევარები ნახულობდნენ გარდასულ წელთა დიდებული სპორტული ტრადიციების ნაშთებს. ფრანგ პედაგოგს მაშინ დაებადა იდეა, აეღორძინებინა ოლიმპიური თამაშები.

საერთაშორისო სპორტული მოძრაობის უანგარო ენთუზიასტს მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა სანამ 1894 წელს შეკრებდა პარიზში საერთაშორისო კონგრესს. ამ კონგრესზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შექმნილიყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, ხოლო 1896 წელს საბერძნეთის დედაქალაქში გაიმართა პირველი თანამედროვე ოლიმპიური თამაშები.

პიერ კუბერტენი, რომელიც ჯერ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი იყო, ხოლო შემდეგ — პრეზიდენტი (1896-1925 წწ), ყოველთვის საგანგებოდ უსვამდა ხაზს ოლიმპიური თამაშების უდიდეს სოციალურ და კულტურულ მნიშვნელობას. იგი ამბობდა: „მე მწამს სპორტის მშვიდობიანი თვისებები. სტადიონზე არ უნდა იყვნენ პოლიტიკური მტრები ან მეგობრები. აქ უნდა იყვნენ მხოლოდ სპორტსმენები". მაგრამ თანამედროვე სპორტული თამაშების „მამის" ამ სიტყვებს ხშირად ივიწყებენ „ცივი ომის" თანამედროვე მომხრენი, რომლებმაც არა ერთი დიდი საერთაშორისო შეჯიბრება ჩაშალეს პოლიტიკური მოტივებით.

პიერ კუბერტენი გარდაიცვალა 1937 წელს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გარდაცვლილი პრეზიდენტის ანდერძით მისი გული ასვენია ოლიმპოს მარმარილოს კოლონადაში.

ჩემპიონები და ქალები

როგორც ცნობილია, უძველესი ხანის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება ქალებს არა ჰქონდათ. კიდევ მეტი: მათ ეკრძალებოდათ შეჯიბრებებზე დასწრება მაყურებელთა როლშიც. „სუსტი სქესის" წარმომადგენელთათვის ოლიმპიური კარი დიდი ხნის განმავლობაში დაკეტილი იყო.

ასე იყო წარსულ საუკუნეებში, მაგრამ 1948 წელს ერთ-ერთი შვედი ჟურნალისტი წერდა შემდეგს: ქალთა სპორტს საქმე არა აქვს ოლიმპიადასთან. მორბენალი და მოხტუნავე ქალები სილამაზეს უკარგავენ შეჯიბრებებს, აქვეითებენ ინტერესს და არღვევენ პროგრამის რიტმს. ქალთა სპორტს არ გააჩნია თავისი სახე და იგი უკეთეს შემთხვევაში წარმოადგენს ვაჟთა სპორტის უგემურ იმიტაციას". შვედი სკეპტიკოსის აზრს, რა თქმა უნდა, არ იზიარებდნენ, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში მას მაინც ჰყავდა ერთეული მიმდევრები.

ქალთა სპორტის მოწინააღმდეგეებთან პაექრობა ყველაზე უკეთესია ციფრების ენით. თუ შევადარებთ I ოლიმპიადის ჩემპიონ ვაჟთა შედეგებს მძლეოსნობაში თანამედროვე საუკეთესო ქალთა მაჩვენებლებს გამოირკვევა, რომ 9 სახეობაში 12-დან მაშინდელი ვაჟების მიღწევები ჩამორჩება დღევანდელი ქალებისას.

ავიღოთ მაგალითად, ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ამერიკელი [illegible] შედეგები სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში (შესაბამისად 6,35 მ და 1,81 მ). ორივე ეს მაჩვენებელი ჩამორჩება რომის XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონების ვ. კრეპკინასი (სსრ კავშირი) და ი. ბალაშის (რუმინეთი) შედეგებს — 6,37 მ და 1,85 მ. აღარას ვამბობთ ი. ბალაშისა და ტ. შჩელკანოვას (სსრ კავშირი) მსოფლიო რეკორდებზე.

1896 წლის ოლიმპიადის ფინალურ რბენაში 100 მეტრზე ვაჟებთან ერთად რომ გამოსულიყო დღევანდელი მსოფლიო რეკორდსმენი ქალთა შორის ამერიკელი ვ. რუდოლფი, იგი 0,7 წამით (!) გაუსწრებდა ბერკს (აშშ), რომელიც მაშინ ჩემპიონი გახდა. იგივე ტ. ბერკი ვერ მოიგებდა რბენას 400 მეტრზე, მის გვერდით რომ ერბინა საბჭოთა სპრინტერს მ. იტკინას.

ან ავიღოთ შედეგები ცურვაში და შევუდაროთ I ოლიმპიადის ჩემპიონთა მაჩვენებლები დღევანდელი მსოფლიო რეკორდების მფლობელთა შედეგებს ქალთა შორის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვით ლეგენდარული ჯონი ვეისმიულერიც კი, რომელიც მთელს მსოფლიოში ქუხდა 20-30-იან წლებში, ვერ მოუგებდა ვერც ავსტრალიელ ქალებს — დ. ფრეზერსა და ლ. კრეპსს და ვერც ამერიკელ ქ. ფონ ზალცას.

კონფლიქტი მოგვარდება

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (მოკ-ის) პრეზიდენტმა ე. ბრენდეჯმა განაცხადა, რომ მოკ-ის კარები ღიაა ინდონეზიისათვის. მან ეს განცხადება გააკეთა საკდესის კორესპონდენტის კითხვის პასუხად: მოკ-ი აპირებს თუ არა დაუბრუნდეს პრობლემას, რომელიც შეიქმნა ინდონეზიის ოლიმპიური მოძრაობიდან გარიცხვასთან დაკავშირებით და აპირებს თუ არა ამ კონფლიქტის მოგვარებას?

ბრენდეჯმა თქვა: „თუ ჩვენ მივიღებთ იმის გარანტიას, რომ ინდონეზია პატივისცემით მოეკიდება ოლიმპიურ წესებს, მაშინ მას კვლავ დიდი სიხარულით მიიღებს ოლიმპიური მოძრაობა".

იტალია - ბრაზილია — 3:0

იტალიის პრესა არ მალავდა, რომ თავისი ქვეყნის ნაკრები გუნდის შეხვედრას მსოფლიო ჩემპიონთან ფეხბურთში — ბრაზილიის ნაკრებთან უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა შემადგენლობის განსაზღვრისათვის ევროპის თასზე საბჭოთა ფეხბურთელებთან შეხვედრის წინ. იტალიელებმა 12 მაისს მილანში ასეთი შემადგენლობით გამოიყვანეს ნაკრები: ნეგრი, მალდინი, გუარნერი, ფაჩეტი, სალვადორე, ტრაპატონი, ბულგარელი, მაცოლა-2, სორმანი, რივერა, მანიჩელი. მასპინძლებმა დიდი უპირატესობით ჩაატარეს თამაში და მსოფლიო ჩემპიონი დაამარცხეს ანგარიშით 3:0. იტალიელებს გამარჯვება ძირითადად გარანტირებული ჰქონდათ უკვე პირველ ტაიმში, რომელიც მათ დაამთავრეს თავიანთ სასარგებლოდ — 2:0.

ფეხბურთის ახალი ამბები

„ფიორენტინას" მეორე გამარჯვება

12 მაისს ლენინგრადში თავიანთი მეორე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარეს იტალიის „ფიორენტინას" ფეხბურთელებმა, რომლებიც აქ შეხვდნენ ადგილობრივ „ზენიტს". „ფიორენტინამ" კვლავ შესანიშნავი ფეხბურთი აჩვენა. პირველი ბურთი ლენინგრადელთა კარში გაიტანა სემინარიომ, რასაც 52-ე წუთზე მოჰყვა ანჯელოს მეორე გოლი. 79-ე წუთზე ლენინგრადელთა თავდამსხმელმა ა. ვასილიევმა შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა. გაიმარჯვა „ფიორენტინამ" — 2:1.

ლენინგრადელმა მაყურებლებმა ტაშით დააჯილდოვეს იტალიელი ფეხბურთელები.

რედაქტორი ი. უგულავა.

წყალბურთი

14 - 19 მაისი

ფიზკულტურელის პარკის საცურაო აუზი

გათამაშების კალენდარი

14 მაისი. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი („ბურევესტნიკი")-„დინამო" (კიევი), ცსკა-„დინამო" (ლვოვი), „დინამო" (თბილისი)-„დინამო" (მოსკოვი), „სპარტაკი" (ლენინგრადი)-„შრომითი რეზერვები" (მოსკოვი).

• • •

15 მაისი. „დინამო" (მოსკოვი)-ცსკა. „დინამო" (ლვოვი)-მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „შრომითი რეზერვები" (მოსკოვი)-„დინამო" (თბილისი), „დინამო" (კიევი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი).

• • •

16 მაისი. „სპარტაკი" (ლენინგრადი)-„დინამო" (ლვოვი), „შრომითი რეზერვები" (მოსკოვი)-„დინამო" (კიევი), მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი-„დინამო" (მოსკოვი), „დინამო" (თბილისი)-ცსკა.

• • •

17 მაისი. „დინამო" (კიევი)-„დინამო" (თბილისი), „დინამო" (მოსკოვი)-„სპარტაკი" (ლენინგრადი), „დინამო" (ლვოვი)-„შრომითი რეზერვები" (მოსკოვი), ცსკა-მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

• • •

18 მაისი. „შრომითი რეზერვები" (მოსკოვი)-„დინამო" (მოსკოვი), „დინამო" (თბილისი)-მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „სპარტაკი" (ლენინგრადი)-ცსკა, „დინამო" (კიევი)-„დინამო" (ლვოვი).

• • •

19 მაისი. ცსკა-„შრომითი რეზერვები" (მოსკოვი), „დინამო" (მოსკოვი)-„დინამო" (კიევი), მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი-„სპარტაკი" (ლენინგრადი), „დინამო" (ლვოვი)-„დინამო" (თბილისი).

დასაწყისი 16 ს. 30 წ.

საბჭოთა კავშირის რვა უძლიერესი გუნდის ტურნირი

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 07898